

**„ბერძნული პროექტის“
ქართული პარადიგმები¹
GEORGIAN PARADIGMS
OF THE GREEK PROJECT**

მამუკა ნაცვალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Mamuka Natsvaladze
Sokhumi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The article examines the global international project of the 70s and 80s of the 18th century envisaging a new distribution of Europe at the expense of the areas of the Ottoman Empire. This topic acquires a final feature in a conceptual form in the correspondence between Catherine II and Josephus II, the Emperor of Austria and the Holy Roman Empire under the name of the “Greek Project”.

The present article provides the first attempt in historiography to review the Greek Project with regard to the Caucasus.

Initially, the Soviet historiography apparently consciously refrained itself from examining the Greek Project due to political factors, since the objective study of the

¹ სტატიის ავტორმა ამ თემაზე 2020 წელს რამდენიმე კვლევა გამოაქვეყნა ქართულ და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში:

1. სპეცსამსახურების დაპირისპირების უცნობი დეტალები ერეკლე მეორის სამეფო კარზე. ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-მეცნიერობითი კონფერენცია, ნაწილი 1, თბილისი-თელავი, 2020 წლის 27-29 ნოემბერი, გვ 172-183;
2. 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები. აზრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია. 2020 წლის 9-10 ოქტომბერი, თბილისი, გვ. 234-244;
3. Georgia and the Secret Project for Redistribution Europe 70-80s of the 18th century, LXXXVI International Scientific Review of the Problems and Prospects of Modern Science and Education. Boston, USA. 23 December, 2020, p 38-46;
4. Greek Project – Clue to the History of Georgia 50-90-ies of XVIII Century. XXIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society. Vol.1, November 25, 2020, Warsaw, Poland. pp 38-43;
5. Sensational Unknown Facts from Georgian Diplomacy of 90-ies of XVIII Century. International Journal of Innovative Technologies in Social Science. No7(28), 2020, pp. 77-85
6. Explanation of one conceptual subtext of a “Greek Project”, XI International Conference. Science and Practice: a new level of integration in the modern world, Scope Academic House, September, 10 - November, 30, 2020, Sheffield, UK pp. 164-168;
7. Capuchin Monks and the Russian Agents in Georgia in the 80s of the 18th Century, Bridge to science: research works. San Francisco, California, USA September 10-december 15 2020 http://www.bmpubgroup.com/assets/research-article_12_7_61.pdf.

latter would ensure presenting the Russian Empire as an aggressor. Afterwards, the research of the given problem would present a clear manifestation of the Russian Empire as an aggressor state. Later, the investigation of the Greek Project was constrained within narrow limits presenting it merely as the political agenda, the plan of conquering Crimea.

The Greek Project can unequivocally be considered as a key to the political history of Georgia of 1750s and 1780s. A number of studies have shown that without considering the Greek Project, numerous problematic questions remain unanswered up to the present day. Namely, the patience and tolerance shown by Erekle II, the King of Kartli and Kakheti towards the Russian intrigues is impossible to explain without the Greek Project. By implementing the Greek Project, a comprehensive Christian area would evolve in the South Caucasus allowing Georgia to acquire a qualitatively distinct and desired form of all times.

The Greek Project is an attempt to create a Christian global political model, a political background that can serve as a precondition for the restoration of a real united Caucasian home, safeguarding of irreversible development and security for all royal principalities and khanates in the Caucasus.

This is the reason why the state-oriented thinker Erekle II avoids responding with aggression to permanent intrigues of Russia. Erekle II tries to engage in this great political game as a ruler of a sovereign political entity.

For the Imperial Court of St. Petersburg, such an attitude of Erekle is a guarantee of success. However, Russia chooses a completely different way, confronting Erekle's benevolent alliance with hostile, imperial sentiments. A central message of these sentiments implies that independent Georgian royal principalities and even more so the Caucasus as a closely-knit, common political area, and the dedication of Georgian principalities to achieve the Caucasian political unity is considered to be an anti-Russian phenomenon from the Russian perspective.

Such a consistent and hostile attitude towards the Caucasus led to the failure of Russian policy - it could neither establish a model of Christian globalization nor neutralize the Ottomans.

Therefore, the study and understanding of the referred problem is rather important to identify the directions and priorities of contemporary political processes.

საკვანძო სიტყვები: ბერძნული პროექტი, ოსმალეთის იმპერია, ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II, ეკატერინა II, იოზეფ II, ფრიდრიხ II, რუსეთის იმპერია, გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერია.

Keywords: The Greek Project; The Ottoman Empire; The Kingdom of Kartli and Kakheti; Erekle II; Catherine II; Joseph II, Friedrich II, The Russian Empire; The Holy Roman Empire of the German Nation.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში ევროპაში დაწყებული ოსმალეთის იმპერიასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესები კონცეფტუალურად თავს იყრის ე.წ. „ბერძნულ პროექტში“. ეს, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ისა და, მეორე მხრივ, ავსტრიის იმპერატორ იოზეფ II-ის ევროპის გადანაწილების გეგმაა, რომელიც საბოლოო სახეს 1782 წელს იღებს (Arneth 1869: 143-157; Русский архив 1880: 281-291).

რუსეთისა და ავსტრიის მთავარი სამიზნე ოსმალეთის იმპერიაა – მსოფლიოში ყველაზე სტაბილური იმპერია, რომელიც „ბერძნული პროექტის“ მიხედვით უნდა გადანაწილოს ამ ორმა სახელმწიფომ (Русская старина 1892: 1-4), თუმცა ეს გადანაწილება ტერიტორიების უშუალო მიერთებას არ ითვალისწინებს (Зорин 2001: 35-37). უნდა აღდგეს ბიზანტიის იმპერია, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ეკატერინეს შვილიშვილი კონსტანტინე (მას დაბადებისთანავე გამიზნულად შეურჩიეს სახელი და ზრდიან ბერძნულად) (Гриффитс 2013: 352-360); ასევე უნდა შეიქმნას დაკიის ბუფერული სამეფო, რომელიც გააერთიანებს მოლდოვეთს, ვალახეთსა და ბესარაბიას (Маркова 1986: 5-11).

საგულისხმოა, რომ არც ეკატერინე II-ისა და იოზეფ II-ის მიმოწერაში, არც რუსეთის სახელმწიფო კანცლერის ბეზბოროდკოს მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტში (Стегний 2002: 109-118), რომლითაც ფაქტობრივად ჩვენამდე იქნა მოღწეული ბერძნული პროექტი, უშუალოდ საქართველოზე არაფერია ნათქვამი. ბუნებრივია, იბადება კითხვა – რამდენად ნიშნავს ეს ფაქტი იმას, რომ ევროპის მონარქები კავკასიისა და საქართველოს გვერდის ავლით გეგმავდნენ თავიანთი გრანდიოზული გეგმების აღსრულებას? ამ კითხვას ცალსახად უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, თუ გავითვალისწინებთ იმ გეოგრაფიულ არეალს, სადაც ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის გადანაწილება იგეგმება. აშკარად ჩანს, რომ ვერც ავსტრია და ვერც რუსეთი ვერ აუვლიდა გვერდს კავკასიასა და უშუალოდ ქართულ სამეფო-სამთავროებს.

არცთუ უმნიშვნელოა ის ფაქტიც, რომ კავკასია გამორჩეული გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო ყოველთვის რჩებოდა ყველა დროის მსოფლიო ბატონობის პრეტენზიის მქონე იმპერიების თვალსაწიერში. კავკასიის გეოგრაფიული სიახლოვემ ფაქტორს ოსმალეთის იმპერიისათვის განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენს. სწორედ ამიტომაც გამორიცხულია ოსმალეთის წინააღმდეგ გლობალური დაპირისპირებისას ევროპის სახელმწიფოებს ერთ-ერთ კოზირად არ გამოეყენებინათ კავკასიური ფაქტორი.

ჯერ ერთი, დასავლეთ საქართველოზე ოსმალთა იმპერიის პრეტენზიები უშუალოდ კარნახობს პროექტის ავტორებს, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე მათ სამ კონტინენტზე გადაჭიმული იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში უცილობელ მოკავშირედ უნდა განეხილათ. მეორეც, კონსტანტინოპოლის აღება და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის დაწესება ბუფერული სახელმწიფოს შექმნის

გზით შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამ გეოგრაფიულ სივრცეს რუსეთის იმპერია ან უშუალოდ გაუმეზობლდებოდა, რაც ერთმორწმუნე საქართველოს დაპყრობის ხარჯზე შეიძლებოდა აღსრულებულიყო (Грамоты 1898: 471), ან აქ არსებულ სამეფო-სამთავროებთან გარკვეულ პოლიტიკურ თანამეგობრობას შექმნიდა, რაც, ბუნებრივია, კეთილგანწყობილ ურთიერთობას უნდა დაფუძნებოდა.

ერთმორწმუნეობა, მართლმადიდებლობა რუსეთისა და საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის თვალსაზრისით საერთო ხასიათის წინაპირობაა, ამდენად, განსხვავებულ კულტურულ სივრცესთან დაპირისპირების დროს ეს ფაქტორი თანამშრომობისათვის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ეს იმ შემთხვევაში, როცა ერთმორწმუნეობის ზნეობრივი პრინციპების დაცვის სურვილი პოლიტიკური პროცესების მონაწილე ორივე მხარეს აქვს. თუმცა რუსეთის საიმპერატორო კარი კატეგორიულად სხვა არჩევანს აკეთებს.

ქართველთა და რუსთა ერთმორწმუნეობა რომ ამ პოლიტიკური თამაშებისას მხოლოდ იმპერიული ნიღაბია, ეს თავის თავზე კარგად იწვინა ერეკლე II-მ 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობისას, როცა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარმა ჯერ ტოტლებენის მეშვეობით ქართლ-კახეთის მეფის ლიკვიდაცია, ხოლო შემდეგ კაპიტან ლვოვის ინიციატივით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება დაგეგმა (დე გრაი დე ფუა 1985: 35-60).

ეს ფაქტები XVIII ს. 70-იანი წლების მოვლენების ფონზე ერთგვარად რთული ასახსნელია – ამ დროს ჯერ კიდევ არ ჩანს გამოკვეთილად, რატომ უნდა დაეგეგმა რუსეთის იმპერიას ერეკლე II-ის მკვლელობა ან მისი ტახტიდან გადაყენება მაშინ, როცა ქართული სამეფო-სამთავროებისა და კავკასიაში ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის (შველიძე 2005:10-18) ქართლ-კახეთის მეფის მოკავშირეობა მისთვის სწორედაც რომ იმ გრანდიოზული გეგმების წარმატებით აღსრულებას ნიშნავდა. პოლიტიკური ლოგიკა მხოლოდ იმას მიაჩნებდა, რომ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისას სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარისთვის ცალსახად წამგებიანი და ხელისშემშლელი იქნებოდა.

მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ასე არ ფიქრობდა. მიზეზი, სავარაუდოდ, იმრეალობაში უნდა ვეძიოთ, სადაც ევროპული პოლიტიკური კულუარები მას საერთაშორისო რანგის ამბიციურ იმპერიად აყალიბებს (Ragsdale 1988: 95-105). საერთაშორისო პოლიტიკური თამაშის მონაწილეებს არ სურთ კიდევ ერთი გავლენიანი მოთამაშის ჩართვა ამ პროცესებში, ეს ვარიანტი მათთვის დამატებით პრეტენზიებსა და პრობლემებს ნიშნავს. სწორედ ამიტომ საკმაოდ საინტერესო პოლიტიკური სიტუაცია იქარგება – ერეკლე II, როგორც ოსმალეთთან მეომარი ფიგურა, გამორჩეულად პოპულარულია ევროპაში (შველიძე 2005: 12-21), თუმცა მისი პოპულარობა ადეკვატურად სრულიადაც არ აისახება საერთაშორისო დიპლომატიურ კულუარებში ქართლ-კახეთის პოლიტიკურ სტატუსზე.

კონფესიური მრავალფეროვნების ფონზე დაქუცმაცებული კავკასია აწყობს ევროპას, უპირველესად კი პრუსიას, რომლის იმპერატორი რუხი კარდინალის რანგში მოხერხებულად მართავს ბებერი კონტინენტის პოლიტიკურ პროცესებს (Письмо Фридриха 1842: 357-359; Henty 2012: 256-275; Фридрих 2014: 210-215). ამ ფორმით ფრიდრიხმა საკუთარი სიცოცხლის გარდა პრუსიის სამეფო იხსნა. რუსეთთან დადებულმა ტრაქტატებმა 1762 (Мартенс 1880: 407) და 1764 წელს (Мартенс 1883: 19) ფაქტობრივად ფინანსურადაც გაამყარა მისი პოლიტიკური დაკვეთა – რუსეთმა ხელი უნდა აიღოს ევროპაზე, სანკტ-პეტერბურგი უნდა დაუპირისპირდეს კონსტანტინოპოლს. ამ დაპირისპირებულ ვექტორზე აეწყო მთელი ევროპის შემდგომი პოლიტიკური პროცესები.

ეს სცენარი ერთხელ უკვე გათამაშდა, XV საუკუნეში, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, როდესაც ვატიკანმა გააცნობიერა, რომ ოსმალებს ახალი სამიზნე გაუჩნდათ ევროპის სახით და მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ოსმალეთს აგრესია სხვა მიმართულებით გადაეტანა. ამ მიზანს ემსახურებოდა სოფია პალეოლოგის ქორწინება ივანე მესამესთან, რომელსაც დაეფუძნა კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ რუსეთის აღიარების ფაქტი (Жигарев 1896: 5-22; Каптерев 1914: 26-102).

პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ის მცდელობით ევროპამ კიდევ ერთხელ შესძინა განსაკუთრებული ფუნქცია რუსეთს, ისევე ოსმალეთის წინააღმდეგობის გასანეიტრალებლად (Головастиков). ამ მასშტაბური პოლიტიკური პროცესების ფონზე რუსეთი ვერ გამოდის იმპერიის მაცდური ხიბლიდან, ცნობილი რომაული იმპერიული მოდელის ერთ-ერთი სტრატეგია – „გათიშე და იბატონე“ მისთვისაც მთავარი იარაღი ხდება.

„ბერძნული პროექტის“ სქემა ცალსახად ქრისტიანული თანამეგობრობის შექმნას ითვალისწინებს. ეს თანამეგობრობა მართლმადიდებლურ ჩარჩოებს სცდება და სრულიად საქრისტიანოს მოიცავს. საგულისხმო დეტალია – ერთ-ერთი ინიციატორი ამ პროექტისა ავსტრიის იმპერატორი იოზეფ II არის (Стегний 2002: 100-101), რომელიც ამავდროულად გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერატორიცაა. აშკარად იკვეთება ამ ქრისტიანული გლობალური სივრცის ძველი და ახალი მოთამაშეები: რუსეთი, პრუსია, ავსტრია, რომის საღვთო იმპერია, დაკია, ბიზანტია... ბუნებრივია, ამ ჩამონათვალს ცალსახად აკლია ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცე, რომლის რეინკარნაციის წინაპირობებიც შეუქცევად ხასიათს იღებს ერეკლე II-ის მოღვაწეობით. აქ ყალიბდება ერთიანი კავკასიური სახლის პოლიტიკური კონტურებიც, რისი დანახვაც სურვილის შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო რთული ევროპული სახელმწიფოებისათვის.

ქრისტიანობის ისტორიამ ცალსახად დაადასტურა, რომ ქართული სახელმწიფო და ქრისტიანული ეკლესია საუკუნეების განმავლობაში იდგა სარწმუნოების სადარაჯოზე, რამაც თავისი არცთუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა იმ წინააღმდეგობრივ ბრძოლაში, რამაც ევროპა იხსნა

გამაჰმადიანებისაგან. ამ თვალსაზრისით ევროპისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდგორის ომს (კაკაბაძე 1982: 62-74; მესხია 1986: 101-121; პაპასქირი 2016: 460-471). ქართველი ერის ბრძოლა მონღოლების წინააღმდეგ იყო ის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც შეაკავა მონღოლური აგრესია, არადა მონღოლთა გამოჩენისთანავე პარიზში სორბონის უნივერსიტეტში მონღოლური ენის შესწავლა დაიწყო, იმ მოტივით, რომ მათთან აუცილებლად მოუხდებოდათ კონტაქტი ევროპის აგრესორის რანგში (ნაცვალაძე 08.05.2017: 15).

ამ რეალობიდან აშკარაა, რომ ქართული სამეფო-სამთავროების ინტერესები აშკარად უნისონში იყო ევროპულ ინტერესებთან. ზემოაღნიშნული ფაქტორები ცხადყოფენ, რომ ეკატერინე II-ისა და იოზეფ II-ის „ბერძნული პროექტი“ ქრისტიანობის გლობალიზაციის ის მოდელია, სადაც ძნელად თუ მიხვდება ვინმე, რომ რუსეთს ქართული სახელმწიფოებრიობა ეზედმეტება. არადა რუსული პოლიტიკური სვლები სწორედ კავკასიის დაქუცმაცებასა და შესაბამისად საქართველოს სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული.

მიუხედავად ამგვარი სუბიექტური იმპერიული განწყობებისა, ცხადია, რომ „ბერძნული პროექტის“ განხორციელება ქართული ქრისტიანული და პოლიტიკური სივრცის გარეშე წარმოუდგენელია, თუნდაც მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე. ისიც საცნაურია, რომ, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, რუსეთის იმპერია ქართველთა ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე განიხილება მოკავშირედ მაჰმადიანური პოლიტიკური სპექტრის წინააღმდეგ ბრძოლაში (ცინცაძე 1960: 24-63; გურული 2008: 38-45), რასაც რუსეთი თავის სასარგებლოდ ორმაგი, ზოგჯერ სამმაგი პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებს.

ამის მაგალითებია 1605 წლის ზეგამის ტრაგედია (ჯამბურია 1998: 18-22), 1721 წლის პეტრე პირველის ავანტიურა (ჭიჭინაძე 1920ა: 3-12; კაჭარავა 1998: 239-242); სწორედ ამ პოლიტიკური სტილის გაგრძელებაა ტოტლებენის მეშვეობით ერეკლე II-ის ლიკვიდაციის, შემდეგ კი კაპიტან ლვოვის მიერ ერეკლეს ქართლ-კახეთის ტახტიდან გადაყენების მცდელობა (დე გრაი დე ფუა 1985: 35-59), შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება თითქოსდა მოკავშირის (ბულიეშვილი 1987: 60-63), ქართლ-კახეთის ოფიციალური ელჩობის მიმართ, რასაც მოჰყვება მსგავსი პოლიტიკური ავანტიურათა კასკადი – ჯერ უფლისწული ლევანის (ჯამბაკურ-ორბელიანი 1914: 14-18; ბერძენიშვილი 1973: 255-262), შემდეგ ავსტრიის იმპერატორთან გაგზავნილი ელჩების მკვლელობები (ტაბაღუა 1979: 79-126; ფერაძე 2006: 84-89; კალანდია 2017: 11-14), ქართლ-კახეთის სამეფო კარზე სხვადასხვა ავანტიურისტთა აღზევება (გელაშვილი 2002: 130-138; Shvelidze 2012: 108-112; გურული 2015: 33-35), მომავალი მეფე გიორგის მოწამვლა (ნაცვალაძე 01.05.2017: 15), გეორგიევსკის ტრაქტატის ჯერ დადება (პაიჭაძე 1983: 62-65; პაპაშვილი 2003: 307-310; გურული 2013ა: 23-33; მაჭარაძე 2013: 109-120), შემდეგ კი 4 წელიწადში მისი პირობების დარღვევა (ლობჯანიძე 1989: 235-237; გურული 2013ბ: 18-20)... ამ ინტრიგათა კასკადის გვირგვინია 1795

წელს თბილისის აოხრება აღა მაჰმად ხანის მიერ (პოტტო 1891: 1-2; ცინცაძე 1969: 170-175).

ჯერ კიდევ XVIII ს. 70-იანი წლების ბოლოს აშკარა ხდება, რომ სანკტ-პეტერბურგის პოლიტიკურ ინტრიგებს შეუქცევადი ხასიათი აქვს. სწორედ ამ ურთულესი და ამავდროულად ქრონიკული რუსული პოლიტიკური ავანტიურის განეიტრალებას ისახავს მიზნად ერეკლე II დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის მუდმივი ძიების გზით (ჭიჭინაძე 1895: 23-46; ჭიჭინაძე 1920ბ: 8-12; ტაბაღა 1987: 243-255; თამარაშვილი 1995: 616-739; დობორჯგინიძე 2014: 237-246). ამიტომ სჭირდება ქართლ-კახეთის სამეფოს ავსტრიის იმპერატორ იოზეფ II-სთან კავშირი, რამდენადაც აქტიურად უნდა ჩაერთოს „ბერძნული პროექტის“ განხორციელებაში, რაც ქართული სამეფო-სამთავროებისა და კავკასიური პოლიტიკური სივრცის განსხვავებულ თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლის წინაპირობაა. ამ ასპექტით ასევე უმნიშვნელოვანესია ვენეციის რესპუბლიკასთან კონტაქტი (ჭიჭინაძე 1917: 8-15). ერეკლე II-ის მიერ გაგზავნილ წერილებში განსაკუთრებული აქცენტებია გადატანილი იმაზე, რომ საქართველო მუდმივად ერთგულად იცავდა ქრისტიანობას (ტაბაღა 1979: 78-135; თამარაშვილი 1995: 557-583; ტაბაღა 2000: 22-28). ეს სწორედ ის გზავნილია, რომლის ქვეტექსტიც ამ ახლადდაწყებულ გლობალურ სარწმუნოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ქართული სამეფო-სამთავროების სრულფასოვან მოთამაშედ აღიარებას გულისხმობს დიდი სახელმწიფოების მხრიდან.

„ბერძნული პროექტის“ პრიზმიდან აშკარად ჩანს ის იმპულსები, რაც ქართულ სამეფო-სამთავროებს განსაკუთრებულ მოტივაციას სძენდა აქტიურად ჩართულიყვნენ საერთაშორისო პროცესებში.

რუსეთისა და ავსტრიის მთავარი სამიზნე ოსმალეთის იმპერიაა. ამგვარ პოზიციას იზიარებს ერეკლე II, რომლის თანამოაზრეობის მიზეზების გარკვევისათვის მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ის უარყოფითი პროცესები, რომლის ხელშემწყობიც ქართულ სამეფო-სამთავროებში ოსმალეთის იმპერია იყო.

ვფიქრობთ, საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი განმარტება – ერეკლე ცნობიერებით მასშტაბური პოლიტიკოსია, ის სულაც არაა ქართლ-კახეთის ლოკალურ ნაჭუჭში ჩაკეტილი. მეფე ერეკლე ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი პრინციპით მოაზროვნე ხელისუფალია, უფრო მეტიც, მისი თვალსაწიერი არათუ საერთო ქართულ, არამედ ერთიან კავკასიურ მასშტაბებს სწვდება. შესაბამისად, ოსმალეთის იმპერიასთან მიმართებით ის ერთიანი კავკასიური პრიზმიდან აზროვნებს.

ერეკლე II კარგად ხვდება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მცირე ფორმატი მაჰმადიანური თუ ერთმორწმუნე ჩრდილოელის შემოტევის პირობებში ვერ უზრუნველყოფს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ამიტომაც ერთიანი კავკასიური პოლიტიკური გაერთიანებისკენ ისწრაფვის. ამ მხრივ მისი მცდელობა წარმატებულია, რაც თანდათან შეუქცევად ხასიათს იღებს. სწორედ ამ პოლიტიკური პრიზმიდან ცდილობს ერეკლე ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ დაგეგმოს მიზანმიმართული და

გეგმაზომიერი პოლიტიკა მიუხედავად იმისა, რომ ორი პოლიტიკური სივრცე – ქართლ-კახეთის სამეფო და ოსმალეთის იმპერია გამიჯნულია გეოგრაფიული თვალსაზრისით. ამგვარი პოლიტიკური სტრატეგიის შედეგია ის, რომ ერეკლე საერთო კავკასიური თვალსაწიერიდან აფასებს მოვლენებს. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ სწორედ ოსმალეთის იმპერიამ გაანეიტრალა ერთიანი კავკასიის ორი უმნიშვნელოვანესი კოზირი – ზღვაზე გასასვლელი და ჩრდილოკავკასიური სივრცე (სვანიძე 2008: 235-243), კავკასიაში არსებული ნებისმიერი პოლიტიკური ერთეულისთვის ქმნის უმნიშვნელოვანეს სისტემურ სირთულეებს.

პირველი უმთავრესი საკითხი, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს ყოველდღიურ გადაუჭრელ პრობლემად ექცა, ლეკთა თარეშია (ორბელიანი 2011: 29-32; ალიმბარაშვილი 2013: 285-297; ჯამბაკურ-ორბელიანი 1914: 7-15). ოსმალეთის იმპერიის სატელიტი დაღესტანი და ჩეჩნეთი სწორედ ის გეოგრაფიულ-პოლიტიკური სივრცეა, საიდანაც აღმოსავლეთ საქართველო მუდმივად განიცდის შევიწროებას. მთიელთა გამუდმებული იმპულსური თარეში განსაკუთრებულ ზიანს აყენებს სამეფოს ეკონომიკას, მოშლილია მეურნეობა, ერთადერთ საფიქრალი ფიზიკური გადარჩენაა.

მეორე პრობლემაა საქართველოს უნიკალური სოციალური ლანდშაფტის მორღვევა – შენელებული მოქმედების ნაღმი (რეხვიაშვილი 1982: 316-325; კილასონია 1999: 262-269). ტყვეთა სყიდვა, რასაც დასავლეთ საქართველოს თავადები სწორედაც რომ ოსმალთა იმპერიის დაკვეთითა და შეთანხმებით ახორციელებენ, ლეტალური შედეგის მომტანია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, რამდენადაც სწორედ უნიკალური სოციალური ლანდშაფტია სახელმწიფოებრიობის ის საყრდენი, რაც ქვეყნის შინაგანი სიმშვიდის მთავარი გარანტია გახლავთ (ნაცვალაძე 19.06.2017: 8).

განსხვავებით ევროპისა და აზიის სახელმწიფოებისა, საქართველოში ყალიბდება გამორჩეულად დემოკრატიული ურთიერთობები სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის. აქ არ არსებობს ჩაკეტილი სოციალური ფენა. ღირსება არის ის ფენომენი, რომელიც სავიზიტო ბარათია ნებისმიერი უჩინოსათვის სოციალური სტატუსის ასამაღლებლად. შემთხვევითი არაა, რომ მეფეთა აღზრდის განსაკუთრებული წესის მთავარი, კონცეფტუალური სტრატეგია სწორედ სოციალურად დაბალი ფენების პრობლემების გაცნობიერებასა და მათდამი ემპათიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს. შესაბამისად ვიღებთ უნიკალურ სოციალურ სივრცეს, სადაც მეფე და ბატონი გლეხის პატრონია, სადაც მეფეს შენობით ელაპარაკებიან და ეს არ არის შეურაცხყოფა, სადაც მეფე კარგად აცნობიერებს, რომ გლეხთა პრობლემების მოგვარება სახელმწიფოს სიმტკიცის ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

სწორედ ამგვარი კონცეპტუალური პოლიტიკის შედეგია, რომ, განსხვავებით ევროპის ქვეყნებისგან, საქართველოში არ დასმულა კითხვის ნიშნის ქვეშ საკითხი - არიან კი ნამდვილად ბაგრატიონები ბიბლიური დავითის შთამომავლები? ამის საფუძველს საზოგადოებას თავად ბაგრატიონები არ აძლევენ. მართალია, მათ შორის ვხვდებით

განსხვავებას დამოკიდებულებების თვალსაზრისით, არის სოციალური ჩაგვრის კონკრეტული ფაქტები, თუმცა ისიც ცხადია, რომ ამგვარ დამოკიდებულებებს სახელმწიფოს მართვის სისტემური მოდელი ემიჯნება და არ არის წახალისებული სამეფო კარის მხრიდან. ბაგრატიონთა უმეტესობა მართვის იმ სტილს ირჩევს, რაც ქვეყნის ერთიანობის განცდის წინაპირობაა ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენლისათვის. მეფე მაგალითია გლეხისათვის ომშიც და მშვიდობიან პერიოდშიც. გლეხს აქვს იმის განცდა, რომ მეფე მისი მმართველი კი არა, მფარველია, ამიტომაც აქვს საპასუხოდ ადეკვატური, შინაგანად სახელმწიფოებრივი განწყობა. ის პრობლემებს სწორედაც სახელმწიფოს ჭრილში ხედავს და არა საკუთარი პრიზმიდან.

სწორედ ეს არის ის უნიკალური სოციალური ლანდშაფტი, რომლის შედეგითაც უპრეცედენტო მოვლენა – ბაგრატიონთა სამეფო დინასტია ერთადერთია მსოფლიო ისტორიაში, ვისაც საკუთარი მოსახლეობა არ დაპირისპირებია. მიუხედავად სოციალური კუთვნილებისა, ეს შინაგანი ერთიანობის განცდა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველომ უამრავი ომის მოგება შეძლო. მსოფლიო ისტორიულმა პროცესმა არაერთი ქვეყნის მაგალითზე ცალსახად აჩვენა – მუდმივ საგარეო აგრესიას როცა სოციალური შიდადაპირისპირება ემატება, რაც ცალსახად სახელმწიფოს დასასრულის წინაპირობაა. ის უნიკალური სოციალური ლანდშაფტი, რაც ქართულ რეალობაში კულტურის ორგანულ ნაწილად იქცა, გახლდათ სახელმწიფოებრივი სიმყარის გარანტი. ამიტომაც იყო საქართველოში არსებული ამ სოციალური ურთიერთობების მოშლა ოსმალეთის იმპერიის მთავარი სამიზნე.

ოსმალური იმპერიული კონცეფტის ეს სეგმენტი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, საქართველოს სამეფო-სამთავროთა მართვის ბიზანტიურ მოდელზე გადაწყობას, როცა ყველას აქვს თანაბარი უფლება იყოს მეფე/იმპერატორი, რაც შიდაარეულობის წახალისების საკმაოდ მსუყე მოტივაციაა და, მეორე მხრივ, ზედა ფენების მაქსიმალურ გაუცხოებას უწყობს ხელს ქვედა ფენებთან, რაც ქვეყნის შინაგანი ქრონიკული არეულობისა და სამეფო დინასტიასთან მოსახლეობის დაპირისპირების მთავარი წინაპირობაა.

მესამე, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი – ოსმალეთის იმპერიის მცდელობით დაიწყო ქართული სახელმწიფოსათვის საკმაოდ მძიმე, ჩრდილოეთ კავკასიის გაუცხოების პროცესი (მეგრელიძე 2012: 12-25). გამაჰმადიანების გზით ჩრდილო კავკასია, რომელიც ადრე ერთიანი ქართული კულტურული სივრცის ნაწილი იყო (ანჩაბაძე... 1966: 151-156), გაუცხოვდა და ოსმალეთის იმპერიის მარიონეტის რანგში გარდაისახა.

ეს სამი პრობლემა, რომელიც ოსმალთა იმპერიის მიერ ჩადებულია როგორც, ერთი მხრივ, სწრაფი და, მეორე მხრივ, ნელი მოქმედების ნაღმი, ცალსახად მიმართულია ქართული სახელმწიფოებრივი სისტემური მოდელის მორღვევისაკენ. ეს იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რასაც ათეული საუკუნეების განმავლობაში ყველა დროისა და ფორმაციის მსოფლიო იმპერია (აქემენტა ირანი, რომი, ბიზანტია, სასანიანები, არაბები, თურქ-

სელჩუკები, მონღოლები, ოსმალეთი...) ერთიანი კავკასიური სახლის წინააღმდეგ ახორციელებდა.

სწორედ ამიტომ ანტიოსმალური მოძრაობა, რომელმაც მწყობრი, თანმიმდევრული სახე მიიღო „ბერძნული პროექტის“ სახით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდებოდა არა მარტო ქართული სახელმწიფოს განმტკიცების, არამედ მისი ახალ თვისებრივ რეალობაში აღზევების თვალსაზრისით. ეს ცხადად გამოჩნდა XVIII ს. 70-იანი წლებიდან, როცა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ფაქტობრივად დომინანტი გახდა კავკასიაში, რაც თავის მხრივ ერთიანი კავკასიური პოლიტიკური თანამეგობრობის აღდგენის წინაპირობად მოიაზრებოდა.

სწორედ „ბერძნული პროექტის“ აღსრულების სურვილით, იმ პერსპექტივით, რაც მისი განხორციელების შემთხვევაში საქართველოს შეეძლო მიეღო, ერეკლე II საკმაოდ მახვილგონივრულ დიპლომატიას ეწევა რუსეთთან მიმართებით. ის ხვდება სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარის იმპერიულ ზრახვებს, თავად უხდება ყოველ-დღიური შეხება იმ კულუარებთან, საიდანაც ქართულ სამეფო-სამთავროთა სახელმწიფოებრიობა ანტირუსულ მოვლენად მოიაზრება.

„ბერძნული პროექტის“ გარეშე შეუძლებელია ავხსნათ ერეკლეს მრვალწახნაგოვანი დიპლომატიური ნაბიჯები, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამთმობი და მოზომილი ურთიერთობები რუსეთის იმპერიის მესვეურებთან, ხშირ შემთხვევაში პირადი შეურაცხყოფის ატანა. ერეკლეს ასეთი მოზომილი პოლიტიკა რუსეთის მიმართ სახელმწიფოებრივი აზროვნებიდან მომდინარეობს. ერეკლე საკუთარ მეფურ პატივმოყვარეობას არასდროს აყენებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა, არასდროს მოქმედებს მხოლოდ პირადი განცდებითა და ემოციებით. სწორედ აქ, ამ დამთმობ და მოზომილ ქმედებებში აშკარად იკვეთება, რომ ის რაღაც მნიშვნელოვანს ელის თავისი ქვეყნისთვის.

„ბერძნულმა პროექტმა“ უნდა მოიტანოს ის სიკეთეები, რაც მეფე ერეკლეს მოთმინების მთავარი მოტივატორია, სწორედ ამ სახელმწიფოებრივი სიკეთისათვის იტანს ერეკლე პირად შეურაცხყოფას რუსეთისაგან, თანაც არაერთგზის. ერეკლესათვის სახელმწიფო ინტერესია უზუნაესი. ეს ის თეზაა, რაც ქართლ-კახეთის მეფის მთელ ცხოვრებას წითელ ზოლად გასდევს.

სწორედ ამ პრიზმიდანაა საინტერესო იმის გარკვევა, ასეთი არაადამიანური დათმენის ფასად რა კონკრეტულ სარგებელს ელოდა ქართული სამეფო კარი და ფეოდალური საზოგადოება რუსეთისაგან.

ამ კითხვაზე პასუხს გვცემს რუსულ-ავსტრიული ბერძნული პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში:

1. რეალური ხდებოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების ხელშემშლელ გარე ფაქტორთა აღმოფხვრა.
2. კავკასიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ექცეოდა ქრისტიანულ გარემოცვაში, რაც მინიმუმამდე ამცირებდა იმ გეოგრაფიულ არეალს, საიდანაც ქრისტიანულ თანამეგობრობას მაჰმადიანთაგან საფრთხე დაემუქრებოდა.

3. ოსმალური იმპერიული სინდრომის გაუვნებელყოფით კავკასიურ კულტურულ გარემოს უბრუნდებოდა ჩრდილო კავკასია, რომლის ნაწილიც, განსაკუთრებით დაღესტანი, სწორედ ოსმალთა სატელიტი იყო, შესაბამისად, ჩრდილო კავკასიიდან გადმომავალი უღელტეხილები ერთიანი კავკასიური პოლიტიკური სივრცის ნაწილი ხდებოდა.

4. ოსმალური იმპერიული სინდრომის გაუვნებელყოფით შესაძლებელი ხდებოდა აღდგენილიყო მსოფლიოში უპრეცედენტო ქართული უნიკალური სოციალური ლანდშაფტი, რომელიც საქართველოს ისტორიის ყველა დროის ქართული სახელმწიფოებრიობის უმთავრესი საყრდენი იყო.

5. ოსმალური საფრთხის გაუვნებელყოფის შემთხვევაში ერთიანი კავკასიური პოლიტიკური სივრცე იძენდა გამორჩეულ ეკონომიკურ სტიმულსა და შესაძლებლობებს, რამდენადაც მის გავლენაში ექცეოდა შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, ის სივრცე, საიდანაც შესაძლებლობა იყო აქტიური სავაჭრო ურთიერთობები დამყარებულიყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

6. ქრისტიანული გლობალიზაცია, მშვიდი პოლიტიკური გარემო ქმნიდა საკმაოდ ნოყიერ პერსპექტივას აზრეშუმის გზის აღდგენის თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებულად მომგებიანი იქნებოდა არა მხოლოდ ქართლ-კახეთისა და სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისათვის, არამედ მთელი რეგიონისთვის.

7. „ბერძნულ პროექტში“ არსებული ამგვარი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული იმპულსების შედეგად, კავკასიის ირგვლივ ყალიბდებოდა უსაფრთხო გეოპოლიტიკური გარემო, რაც მთლიანად რეგიონს აძლევდა შანსს დაებრუნებინა მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური ფუნქცია, აღესრულებინა ყველა დროის ქართველ მეფეთა ოცნება.

სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტორებით უნდა ავხსნათ ის, რომ XVIII ს. 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მიუხედავად რუსეთის იმპერიის მხრიდან აშკარად გამოხატული არაერთი ანტიქართული ქმედებისა, საქართველოში ანტირუსულმა განწყობებმა სისტემური წინააღმდეგობის ფორმა არ მიიღო. ანტირუსული განწყობები სისტემურ ფორმას იღებს მას შემდეგ, რაც სანკტ-პეტერბურგმა 1802 წლის 12 აპრილის უჩვეულო პოლიტიკური პერფორმანსით ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას გააცნო ქართული სამეფოს გაუქმების ვერდიქტი (ჭიჭინაძე 1920გ: 7-12; შველიძე 14.03. 2005: 8; ნაცვალაძე 10.10.2016: 15).

სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარის ამ ნაბიჯს შემდგომი 30 წლის განმავლობაში საქართველოში 5 ორგანიზებული ანტირუსული აჯანყება მოჰყვა (Дубровин 1866: 336-342; Потто 1901: 221-245; Полиевктов 1924: 201-214; პოლიევქტოვი 1927: 107-114; ქოქრაშვილი 2010: 2-15; ხომერიკი 2012: 320-352), რომელიც აშკარა დასტური იყო იმისა, რომ ქართული პოლიტიკური არეალი ვერ შეეგუებოდა ვერც სახელმწიფოებრიობის დაკარგვას და ვერც რუსულ ოკუპაციას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ალიმზარაშვილი 2013:** ალიმზარაშვილი ი., «ლეკიანობა» და ქართლ-კახეთის საფორტიფიკაციო სისტემა. ზურაბ პაპასჭირი 60 - ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს. თბილისი, 2010-2013, გვ. 283-299.
- ანჩაბაძე... 1966:** ანჩაბაძე ზ., ცინცაძე მ., საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. საქართველო რუსთაველის ხანაში: რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, 1966, გვ. 144-160.
- ბერძენიშვილი 1973:** ბერძენიშვილი ნ., ლევან ბატონიშვილის გარდაცვალება. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 6. თბილისი, 1973, გვ. 452-474.
- ბულიეიშვილი 1987:** ბულიეიშვილი მ., ქართლ-კახეთის 1772-1774 წწ. ელჩობა რუსეთში ანტონ კათალიკოსისა და ლეონ ბატონიშვილის მეთაურობით. რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, თბილისი, 1987, გვ. 50-74.
- გელაშვილი 2002:** მოგზაურობა საქართველოში, იაკობ რაინგსი. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი, 2002.
- გურული 2008:** გურული ვ., ერთმორწმუნე რუსეთი: მითი და რეალობა. თბილისი, 2008.
- გურული 2013 ა:** გურული ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.). თბილისი, 2013.
- გურული 2013 ბ:** გურული ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი: იმპერიის «მფარველობის» ქვეშ: რუსეთის იმპერია ხელშეკრულების პირობების შესრულებას თავიდანვე არ აპირებდა. ისტორიანი. ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2013, ივლისი, № 7(31), გვ. 17-22.
- გურული 2015:** გურული ვ., გენერალ გოტლობ ტოტლებენის ავანტიურა საქართველოში. ჩემი სამყარო. თბილისი, 2015, ოქტომბერი, გვ. 32-39.
- დე გრაი დე ფუა 1985:** დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბილისი, 1985.
- დობორჯგინიძე 2013:** დობორჯგინიძე ნ., საისტორიო მეხსიერების რეკონსტრუქციისათვის. კრებული „ზურაბ კიკნაძე-80“. თბილისი, 2013, გვ. 234-257.
- თამარაშვილი 1995:** თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. თბილისი, 1995.
- კალანდია 2017:** მეფე ერეკლე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში (Prince Heraclius in the British and Irish press). ცნობები შეაგროვა, შესავალი და კომენტარები დაურთო გიორგი კალანდიამ. თბილისი, 2017
- კაკაბაძე 1982:** კაკაბაძე ს., დიდგორის ომი. თბილისი, 1982.
- კაჭარავა 1998:** კაჭარავა დ., ვახტანგ VI-ის სამხედრო პოლიტიკური კავშირი რუსეთთან. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II. თბილისი, 1998, გვ. 237-246.

კილასონია 1999: კილასონია ა., ტყვის სყიდვა - მძიმე დანაშაული და დამნაშავეთა სოციალური შემადგენლობა XVI-XVIII სს. საქართველოში. საისტორიო ძიებანი. თბილისი, 1999, №2, გვ. 258-271.

ლობჯანიძე 1989: ლობჯანიძე გ., ეტიუდი რუსეთ-საქართველოს სამართლებრივი ურთიერთობის ისტორიიდან: გეორგიევსკის ტრაქტატის სამართლებრივი სტატუსი და საქართველოს არასუვერენულ სახელმწიფოდ ქცევა, ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა რუსეთის მიერ. ჟურნალი "განთიადი". ქუთაისი, 1989, №6, გვ. 232-237.

მაჭარაძე 2013: მაჭარაძე ვ., გეორგიევსკის ტრაქტატი. სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი "სამი საუნჯე". თბილისი, 2013, მარტი, №1(7), გვ.100-137.

მესხია 1986: მესხია შ., დიდგორის ბრძოლა. საისტორიო ძიებანი, 3 ტომად, ტ. 3. თბილისი, 1986, გვ. 81-139.

მეგრელიძე 2012: მეგრელიძე დ., ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (ლექციანობა). თბილისი, 2012, გვ. 9-29.

ნაცვალაძე 10.10.2016: ნაცვალაძე მ., როგორ გათამაშდა ქრისტიანობის ნიღბით რუსული პოლიტიკური ფარსი. გაზეთი «რეზონანსი», 10 ოქტომბერი, 2016, გვ. 15.

ნაცვალაძე 01.05.2017: ნაცვალაძე მ., მოწამლეს თუ არა რუსეთის საიმპერატორო კარის ბრძანებით გიორგი მეთორმეტე. გაზეთი «რეზონანსი», 1 მაისი, 2017, გვ. 15.

ნაცვალაძე 08.05.2017: ნაცვალაძე მ., მონღოლები - დიდი გამოცანა მეცამეტე საუკუნის დასავლეთ ევროპისათვის. გაზეთი «რეზონანსი», 8 მაისი, 2017, გვ. 15.

ნაცვალაძე 19.06.2017: ნაცვალაძე მ., როგორ დაამკვიდრა რუსულმა ჩექმამ ქართული ხიდჩატეხილობა. გაზეთი «რეზონანსი», 19 ივნისი, 2017, გვ. 8.

ორბელიანი 2011: ორბელიანი ა., დადესტანიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები. სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი "ისტორიული მემკვიდრეობა", თბილისი, 2011, №4(17), გვ. 28-34.

პაიჭაძე 1983: გეორგიევსკის ტრაქტატი: 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ. თბილისი, 1983.

პაპასქირი 2016: პაპასქირი ზ., დიდგორის ეპოპეის პირუთენელი მატთანე, შოთა მესხიას „ძლევაი საკვირველი“. საქართველო - ისტო-რიული წარსული და თანამედროვეობა. თბილისი, 2016, გვ. 453-475.

პაპაშვილი 2003: პაპაშვილი მ., გეორგიევსკის ტრაქტატი. საქართველო არის ესე. შემდგენელ-რედაქტორი აკაკი ბრეგაძე. თბილისი, 2003, გვ. 305-313.

პოტტო 1891: პოტტო ვ. ა., საქართველო და მისი ისტორიული წარსული (რუსების შემოსვლა ტფილისში 1783 წ. - ალა მაჰმად ხანი). თარგმანი პ. კარბელაშვილისა (პ. ცხვილოელის). გაზეთი "ივერია", 1891, 26 ივნისი, №133, გვ.1-2.

პოლიევქტოვი 1927: პოლიევქტოვი ა., საარქივო მასალები. 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში. სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობა. თბილისი, 1927, ტ. II, გვ. 100-123.

რეხვიაშვილი 1982: რეხვიაშვილი მ., ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში. იმერეთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები). თბილისი, 1982, გვ. 311-329.

სვანიძე 2008: სვანიძე მ., 1578-1590 წლების ოსმალეთ-ირანის ომი, საქართველო და აღმოსავლეთ კავკასია: ოსმალეთ-ირანის ომის დაწყება და ოსმალების მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა (1578-1579). საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე). თბილისი, 2008, გვ. 226-247.

ტაბაღა 1979: ტაბაღა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში., თბილისი, 1979.

ტაბაღა 1987: ტაბაღა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. წ. 3 (XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი, 1628-1633 წწ.). თბილისი, 1987.

ტაბაღა 2000: ტაბაღა ი., ევროპული ცნობები ერეკლე II-ის შესახებ, თბილისი, 2000.

ფერაძე 2006: ფერაძე ვ., ერეკლე II-ის ავსტრიასთან ურთიერთობის ისტორიიდან. საისტორიო ვერტიკალები. თბილისი, 2006, №1(10), გვ. 82-91.

ქიქოძე 1942: ქიქოძე გ., ერეკლე მეორე, თბილისი, 1942, გვ. 209-221.

ქოქრაშვილი 2010: ქოქრაშვილი ხ., ანტირუსული გამოსვლები საქართველოში, XIX საუკუნე. რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. თბილისი, 2010.

შველიძე 14.03.2005: შველიძე დ., მოსკოვის იმპერატორმა ჩვენი სამეფო ჩამოგვართვა. სოლომონ მეფის წერილი ნაპოლეონისადმი. გაზეთი «24 საათი», 2005, 14 მარტი.

შველიძე 2005: შველიძე დ., ევროპული ცნობები ერეკლე მეორის შესახებ «სანკტპეტერბურგსკიე ვედომოსტის» მიხედვით. თბილისი, 2005.

შველიძე 2016: შველიძე დ., ერეკლე მეორის ეპოქა. თბილისი, 2016, გვ. 52-53.

ცინცაძე 1960: ცინცაძე ი., 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. თბილისი, 1960.

ცინცაძე 1969: ცინცაძე ი., ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე (1795 წელი). თბილისი, 1969.

ჭიჭინაძე 1895: ჭიჭინაძე ზ., საქართველოს შესახებ ევროპიელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან და მეფის ერეკლეს მიწერ-მოწერა ინგლისის წარმომადგენელთან. თბილისი, 1895.

ჭიჭინაძე 1917: ჭიჭინაძე ზ., ქართველ მეფეთ დროის ქართველ რესპუბლიკანელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკური მთავრობის წინაშე. თბილისი, 1917.

ჭიჭინაძე 1920ა: ჭიჭინაძე ზ., პეტრე დიდმა როგორ მოატყვილა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა. თბილისი, 1920.

ჭიჭინაძე 1920ბ: ჭიჭინაძე ზ., მისტერ ოლივერ უოდროპი და ინგლისის კავშირი საქართველოსთან, მეფე ერეკლეს მიმართვა ინგლისის მთავრობასთან 1780 წელს. თბილისი, 1920.

ჭიჭინაძე 1920გ: ჭიჭინაძე ზ., პავლე იმპერატორმა როგორ ჩამოართვა გიორგი მეფეს საქართველო. თბილისი, 1920.

ჯამბაკურ-ორბელიანი 1914: ჯამბაკურ-ორბელიანი ა., დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, აღ. ვახტ-ძე ჯამბ. ორბელიანისა. გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ წერა-კითხვის საზოგადოებაში დაცული ავტოგრაფის მიხედვით. ტფილისი, 1914.

ჯამბურია 1998: ჯამბურია გ., ტრაგედია კახეთის სამეფო კარზე: კახეთის მეფის ალექსანდრე II - 1605 წელს მომხდარი ტრაგედია. ისტორია, 1998, № 2, გვ. 15-24.

Arneth 1869: Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneth. Wien, 1869, s. 446.

Henty 2012: Henty George Alfred. With Frederick the Great. A Story of the Seven Years' War. Éditeur Charles Scribner, 1910, l'Université de Californie, 2012.

Ragsdale 1988: Ragsdale H., Evaluating the traditions of Russian aggression: Catherine II and the Greek Project, Slavonic and East European Review. L., 1988. Vol. 66, № 1, pp. 91-117.

Shvelidze 2012: Shvelidze D., General Totleben in Georgia. Pro Georgia. Journal of Kartvelological studies. Center for east european studies- oriental institute-university of Warsaw. Warsaw T. 22, 2012, s. 107-117.

Головастикив: Головастикив К., Как русских готовили к завоеванию Константинополя, <https://arzasmas.academy/materials/85>. დამოწმება: 02.08.2020.

Грамоты 1898: Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под ред. А. А. Цагарели. Т. II. Вып. 1: Грузинские тексты с 1768 по 1801 год. Санкт-Петербург, 1898.

Гриффитс 2013: Гриффитс Дэвид М., Был ли у Екатерины II «греческий проект»? Екатерина II и ее мир: статьи разных лет. пер. с англ. Е. Леменовой и А. Митрофанова. Москва, Новое литературное обозрение, 2013, С. 349-368.

Дубровин 1866: Дубровин Николай, Закавказье от 1803-1806 года. Санкт-Петербург, 1866.

Жигарев 1896: Жигарев С.А., Русская политика в восточном вопросе (ее история в XVI-XIX веках, критическая оценка и будущие задачи): Историко-юридические очерки Сергея Жигарева. Т. I. Москва, 1896. – 4, XVI.

Зорин 2001: Зорин А., Кормя двуглавого орла. Русская литература и государственная идеология в последней трети XVIII первой трети XIX века. Москва, Новое литературное обозрение, 2001.

Каптерев 1914: Каптерев, Н.Ф., Характер отношений России к православному Востоку в XVI и XVII столетиях, Изд. 2-е. Санкт-Петербург, 1914.

- Маркова 1986:** Маркова О. П., О происхождении так называемого греческого проекта (80-е годы XVIII в.) Проблемы методологии и источниковедения внешней политики России.. Москва, 1986, с. 5-46.
- Мартенс 1880:** Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций, заключенных Россией с иностранными державами. Т. 5 : Трактаты с Германией. 1656-1762. Санкт-Петербург, 1880.
- Мартенс 1883:** Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций, заключенных Россией с иностранными державами. Т. 6, Трактаты с Германией. 1762-1808. Санкт-Петербург, 1883.
- Письмо Фридриха 1842:** Письмо Фридриха II к императрице Екатерине, Русский вестник, №3, 1842, с. 356-360.
- Полиевктов 1924:** Полиевктов М. А., Архивное «дело» о восстании в Имеретии, Гурии и Менгрелии в 1817-1820 годах. საისტორიო მთარგმნე, *Bulleten Historique, თბილისი*, 1924, ტ. II, გვ. 199-220.
- Потто 1901:** Утверждение русского владычества на Кавказе : К столетию присоединения Грузии к России. 1801-1901 под ред. Потто, т. 1, Тифлис, 1901.
- Русская старина 1892:** Собственноручная записка императрицы Екатерины о греческом проекте, Русская старина. 1892, Т. 76, № 10, с. 1-4.
- Русский архив 1880:** Переписка Екатерины Великой с Германским Императором Иосифом II-м 1774-1790 Русский архив, Кн. 1. Москва, 1880, с. 210-335.
- Стегний 2002:** Стегний П.В., Еще раз о греческом проекте Екатерины II. Новые документы из АВПРИ МИД России. Новая и новейшая история. № 4, 2002, с. 100-118.
- Фридрих 2014:** Фридрих Великий. Наставление о военном искусстве к своим генералам. Анти-Макиавелли. Москва, Эксмо, 2014.